შ.პ.ს. „ჰიდროგეოპროექტი“ - L.T.D. „HIDROGEOPROJECT“

205175415

№09-2/25 „25” მარტი 2025 წ.

ტექნიკური დასკვნა ქ. თბილისში, ნ. საჯაიას ქ. №1, ს/კ: 01.19.23.009.157-ში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ზეგავლენისა, ირგვლივ მდებარე შენობა-ნაგებობებზე.

ქალაქ თბილისში, ნ. საჯაიას ქუჩა №1-ში (ს/კ: 01.19.23.009.157), შ.პ.ს. „ბილდ ჯორჯია“-ს თავის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე დაგეგმილი აქვს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. შენობის მზიდი კონსტრუქციები გადაწყვეტილია მონოლითური რკინაბეტონის ჩარჩო-კავშიროვან ვარიანტში, სადაც კავშირებად გამოყენებულია 20 სმ. სისქის სიხისტის დიაფრაგმები, ხოლო ჩარჩოს პილონების განივი კვეთები იცვლება სიმაღლის მიხედვით: LxB=70x40 სმ. (სამი სართული); LxB=60x40 სმ. (ორი სართული); LxB=40x40 სმ. (სამი სართული). შენობა გეგმაში მართკუთხა მოხაზულობისაა, ზომებით ღერძებში ℓ×b=21.20×14.65 მ. გადახურვად გამოყენებულია მონოლითური რკინაბეტონის წიბოვანი (მონოლითური რიგელები) ფილები, სისქით h=18 სმ; ხოლო მონოლითური რიგელები, განივი კვეთებით: BxH=400×500 მმ; (მ.რ.-1) BxH=200×500 მმ; (მ.რ.-2). საძირკველი მთლიანკვეთიანი რკინაბეტონის ფილა, სისქით h=70 სმ

მოსაზღვრე ნაკვეთები



ჩრდილო-აღმოსავლეთი - საპროექტო ტერიტორიას ესაზღვრება ნაკვეთი საკადასტრო კოდით 01.19.23.009.018 და ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა, საპროექტო შენობიდან აღნიშნული ქუჩის საავტომობილო გზამდე მანძილი შეადგენს 44 მ.-ს, ხოლო საპროექტო შენობის საავტომობილო პანდუსის კიდიდან ს/კ: 01.19.23.009.018-მდე და მასზე განთავსებულ ერთსართულიან შენობამდე უმცირესი მანძილი 14 მეტრია.

სამხრეთ-აღმოსავლეთი - საპროექტო ტერიტორიას ესაზღვრება ნ. საჯაიას ქუჩა, საპროექტო შენობიდან აღნიშნული ქუჩის საავტომობილო გზამდე მანძილი შეადგენს 5.50 მ.-ს. აღნიშნული მიმართულებით გზის გადასწვრივ არსებობს ორი საკადასტრო ერთეული 01.19.23.009.031 და 01.19.23.009.061, ს/კ: 01.19.23.009.031-ზე განთავსებულია სამსართულიანი შენობა, საპროექტო შენობიდან არსებულ შენობამდე მანძილი შეადგენს 12 მეტრს, ხოლო ს/კ: 01.19.23.009.061 წარმოადგენს დიდ ტერიტორიაზე, მათზე განთავსებულია მრავალი შენობა-ნაგებობა, მაგთან ყველაზე ახლოს ჩვენს საპროექტო ტერიტორიასთან განთავსებულია ერთ სართულიანი შენობა, რომელიც საპროექტო შენობისაგან დაშორებულია 17 მეტრით.

სამხრეთ-დასავლეთი - საპროექტო ტერიტორიას ესაზღვრება ნაკვეთი საკადასტრო კოდით 01.19.23.009.156, აღნიშნული მიმართულებით საპროექტო ტერიტორიიდან 20 მ.-ის რადიუსით არანაირი შენობა განთავსებული არ არის.

ჩრდილო-დასავლეთი - საპროექტო ტერიტორიას ესაზღვრება ნაკვეთი საკადასტრო კოდით 01.19.23.009.076, მასზე განთავსებულია შენობა-ნაგებობები, საპროექტო შენობიდან აღნიშნულ შენობებამდე მინიმალური მანძილი შეადგენს 16 მ.-ს.

დასკვნა:

საპროექტო შენობის მშენებლობისათვის დასამუშავებელი ქვაბულის კიდეები უშუალოდ არ უახლოვდება ირგვლივ მდებარე შენობა-ნაგებობებს. შ.პ.ს. „ჰიდროგეოპროექტი“ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გაცნობებთ, რომ დაგეგმილი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა შესაძლებელია.

საპროექტო შენობის მშენებლობა არ მოახდენს უარყოფით ტექნიკურ ზეგავლენას მეზობლად მდებარე შენობებსა და საავტომობილო გზებზე, როგორც მშენებლობის პერიოდში, ასევე ექსპლოატაციის მთელი ვადის განმავლობაში.

შ.პ.ს. ”ჰიდროპროექტი”-ს
დირექტორი /ნ. ქიქავა/